საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-7/550
19/09/2019

550-გ-19-1-4-201909191750

რადიომოყვარულ სერგო ლენცისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის სახმობის მინიჭების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-19-9/731, 20.02.2019) მიმართა მოქალაქე სერგო ლენცმა სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებაზე „A“ კატეგორიის რადიომოყვარულის სახმობის მიღების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ მოქალაქე სერგო ლენცი არის „B“ კატეგორიის რადიომოყვარული და 2018 წლის 13 სექტემბრის კომისიის № 542/7 გადაწყვეტილებით მინიჭებული ჰქონდა სახმობი **4L3NZ**. რადიომოყვარული სერგო ლენცი წლების მანძილზე სარგებლობს რადიომოყვარულთა შორის ავტორიტეტით, რისი დამადასტურებელიცაა საქართველოს რადიომოყვარულთა ეროვნული ლიგის წევრ რადიომოყვარულთა რეკომენდაციები (დავით თოდაძე 4L4D და ზვიად მიქაშავიძე 4L4X). მას განხორციელებული აქვს რადიოკავშირები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან და მიღებული არაერთი დიპლომი.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ რადიომოყვარულ სერგო ლენცს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებებში (მათ შორის World Wid WPX Contest, RTTY Roundup) და დაჯილდოვებულია შესაბამისი სერთიფიკატებით.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47^1 მუხლის პირველი პუნქტის და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 51^3 მუხლის მე-3 პუნქტის, 51^5მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ კენჭრისყრის შედეგად ერთხმად

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს რადიომოყვარულ სერგო ლენცს სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისათვის დანართში (თან ერთვის) მითითებული სიხშირული დიაპაზონები და სახმობი ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად 5 წლის ვადით - 2019 წლის 19 სექტემბრიდან 2024 წლის 19 სექტემბრამდე:

ნებართვის N	რადიოსადგურის მფლობელი	რადიოსადგურის განთავსების ადგილი	სახმობი	კატეგორია
A - 095	სერგო ლენცი	ქ. თბილისი, სადგურის მოედანი 0102, ს./ყ. #12	4L3NZ	„A“

2. რადიომოყვარული სერგო ლენცი, რადიომოყვარულთა საერთაშორისო გაერთიანების (IARU) მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ განსაზღვრული რადიოსამოყვარულო სამსახურის რეგულირების ზოგადი პრინციპები და ასევე სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესები.

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის მოქალაქე სერგო ლენცისთვის გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6) მოქალაქე სერგო ლენცისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციის და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი